



1972 წლის ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის  
კონვენციის და გაეროს უშიშროების საბჭოს 1540-ე  
რეზოლუციასთან დაკავშირებული მოთხოვნების  
სახელმწიფო მასშტაბით დანერგვის სანიმუშო აქტი

## შესავალი

წინამდებარე „სანიმუშო აქტი“ შეიქმნა, რათა დაეხმაროს ქვეყნებს, შეადგინოს ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენციისა და ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული გაეროს უშიშროების საბჭოს 1540-ე რეზოლუციის კანონმდებლობა, მისი დანერგვისათვის. შესაბამისი კანონპროექტის ავტორებმა შეიძლება თავისუფლად გამოიყენონ ეს დოკუმენტი თავიანთი ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოების, ბიოტექნოლოგიის განვითარების დონისა და სხვა სახელმწიფო თავისებურებების გათვალისწინებით.

ბიოლოგიურ და ტოქსიკურ იარაღთან დაკავშირებული საქმიანობების პრევენციისა და აკრძალვის შესახებ კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დანაშაულისა და სასჯელის სახეობებს არასახელმწიფო პირების (ან გაერთიანების) (non-state actors) მიერ ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ეს კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ისეთ დებულებებს, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ეფექტურად დაარეგულირებს კანონიერ მოქმედებებს. ეს ორი მიდგომა სერიოზულ ბარიერს შეუქმნის მათ, რომლებიც თესენ შიშს, პანიკას და იწვევენ ადამიანთა დაშავებასა და სიკვდილს დაავადებების განზრახ გავრცელების გზით.

სანიმუშო აქტის ნაწილი A შეიცავს მოკლე შესავალსა და იმ ტერმინების განმარტებას, რომლებსაც მოცემულ კანონმდებლობაში სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. ნაწილი B-ს ძალით არასახელმწიფო პირების (ან გაერთიანების) მიერ ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების გამოყენება ადამიანთა დაშავებისა და სიკვდილის გამოსაწვევად მიჩნეულია დანაშაულად, რომელი კანონით ისჯება. სანიმუშო აქტის მე-5 სექცია განსაკუთრებით კრძალავს ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებულ მოქმედებებს, პათოგენების განზრახ გაშვების ტერორისტულ აქტებსა და კონტროლს დაქვემდებარებულ ბიოლოგიურ აგენტებთან და ტოქსინებთან დაკავშირებულ მოქმედებებს, მათ შორის ქვეყნის შიდა და საერთაშორისო გადატანას სათანადო ნებართვის გარეშე. მე-6 სექციით ნებისმიერი მოსამზადებელი მოქმედებები პათოლოგების გამოყენებით ადამიანთა დაშავებისა და სიკვდილის გამოწვევის საბოლოო მიზნით, მათ შორის მცდელობები, ხელშეწყობა, დაფინანსება ან მუქარა, ისჯება კანონით.

სანიმუშო აქტის ნაწილი C-ში ჩამოყალიბებულია საფუძვლიანი და დახვეწილი სისტემა, ბიოუშიშროების ზომების ჩათვლით, ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის ზრდა-გავრცელების პრევენციისათვის. მე-9 და მე-10 სექციაში მოყვანილია პრევენციის სტრუქტურული ელემენტები, რაც გამოიხატება ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიის სიების შექმნაში, რომლის გაკონტროლებაც სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს შესაბამისი საზედადამხედველო სისტემის მეშვეობით. მე-11 და მე-14 სექცია შეიცავს დამაბრკოლებელი ღონისძიებების ქსელს, რომელიც ხორციელდება კონტროლირებად აგენტებსა და ტოქსინებთან დაკავშირებული მოქმედებების ლიცენზირებით, შიდა გადაზიდვების შეტყობინებებით, კონტროლირებადი

აგენტებისა და ტოქსინების, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაზიდვებისათვის იმპორტ-ექსპორტის ნებართვებითა და ამ აგენტების ტრანსპორტირების ნებართვის მქონე გადამზიდველების მკაცრი ზედამხედველობით.

ნაწილ D-ში, კერძოდ კი მე-15 და მე-16 სექციაში, განხილულია კონტროლი ორი სავარაუდო უწყების მიერ. პირველი უწყება წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს (ინტერ-სააგენტო ორგანო) პოლიტიკის საერთო კოორდინაციასა და კანონმდებლობისა თუ რომელიმე კანონქვემდებარე აქტის გატარებაში სახელმწიფო დონეზე. მეორე უწყება არის ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემა (Biological Emergency Response and Investigation Support System-BERISS), რომელსაც ევალება ჯანმრთელობის სისტემისა და სამართალდამცავთა რეაგირების კოორდინაცია ბუნებრივი, შემთხვევით ან განზრახ გამოწვეული დაავადების აფეთქების შემთხვევაში. ნაწილი D-ს მე-17 და მე-18 სექცია ასევე სავალდებულოდ მიიჩნევენ ლიცენზირებული ინდივიდების, უწყებებისა და გადამზიდველების მიერ ანგარიშგებისა და ობიექტების ინსპექციის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო 22-ე სექცია წარმოადგენს სპეციალურად გაწვრთნილი სამართალდამცავი ოფიცრების მიერ კანონმდებლობის საექვო დარღვევების გამოძიებებს. 26-ე სექციაში მოცემულია B, C და D ნაწილების დარღვევისათვის სასჯელის ზომები. 27-ე და 28-ე სექციაში განსაზღვრულია იურისდიქცია და პროცედურები სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და დახმარებისათვის. და ბოლოს, ნაწილი E პასუხისმგებელ უწყებას ან შესაფერის სამინისტროს აძლევს უფლებამოსილებას, გამოსცეს ნებისმიერი კანონქვემდებარე აქტი, აუცილებელი მოცემული კანონმდებლობისათვის.

**VERTIC-ს ([www.vertic.org](http://www.vertic.org)) შესწევს ძალა, დახმარება გაუწიოს კანონმდებლობის შექმნაში სახელმწიფო დონეზე დანერგვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის დედაქალაქებშიც მოთხოვნის მიხედვით. ეს მომსახურება უსასყიდლოა. დამატებითი დეტალებისათვის დაუკავშირდით VERTIC.**

გადამოწმება-დადასტურების კვლევის, წვრთნისა და ინფორმაციის ცენტრი (Verification Research, Training and Information Centre - VERTIC),  
Development House, 56-64 Leonard Street, London EC2A 4LT, United Kingdom  
ტელ.: +44 (0) 20 7065 0880, ფაქსი: +44 (0) 20 7065 0890  
ელ: NIM [at] vertic.org  
ვებსაიტი: [www.vertic.org](http://www.vertic.org)

*VERTIC-ი დამოუკიდებელი არამომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მდებარეობს ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში. VERTIC-ი ხელს უწყობს ეფექტური გადამოწმება-დადასტურების ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს თვითდაჯერებულობასა და ნდობას საერთაშორისო შეთანხმებების დანერგვისას.*

სახელმწიფო დონეზე დანერგვის ზომების (NIM) პროგრამა VERTIC-ის მიერ შემუშავდა იმისათვის, რათა დახმარებოდა სახელმწიფოებს უკეთ გარკვეულიყვნენ იმაში, თუ რისი გაკეთებაა საჭირო სახელმწიფო დონეზე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შესახებ ხელშეკრულებებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ფართო სპექტრის დასაკმაყოფილებლად და მათ გასატარებლად.

VERTIC მადლობას უხდის კანადისა (გლობალური პარტნიორობის პროგრამა, Global Partnership Program-DFAIT) და დიდი ბრიტანეთის (სტრატეგიული პროგრამის ფონდი, Strategic Programme Fund-FCO) მთავრობებს ამ პროგრამის დაფინანსებისა და მასალებით დახმარებისათვის. VERTIC-ის მიერ წარმოდგენილი შეხედულებები არაა აუცილებელი განასახიერებდეს ამა თუ იმ სამთავრობო უწყების ან სააგენტოების თვალსაზრისს

მართალია, წინამდებარე სანიმუშო აქტის შედგენის დროს VERTIC-მა ყოველი ღონე იხმარა ყველაფერი გაეთვალისწინებინა, ის იცილებს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც ამ სანიმუშო აქტის გამოყენებისას შეიძლება წარმოიქმნას. VERTIC-ი მადლიერი იქნება წარდგენილი ნებისმიერი შეცდომების თუ გამოტოვებული მასალისათვის.

ვერსია: იანვარი, 2011წ.

[საკანონმდებლო აქტი, სტატუტი, დეკრეტი,  
კანონი], რომლის საშუალებითაც უნდა დაინერგოს  
1972 წლის ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის  
აკრძალვის შესახებ კონვენციისა და გაეროს  
უშიშროების საბჭოს 1540-ე რეზოლუციის  
შესაბამისი მოთხოვნები [წელი]

მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და  
შედის ძალაში [თარიღი]

პრეზიდენტი

## სექციების სია

### ნაწილი A შესავალი თავები

1. მოკლე სათაური
2. მიზანი
3. [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება
4. ინტერპრეტაცია

### ნაწილი B აკრძალვები

5. ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების არასწორად გამოყენება
6. ალტერნატიული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა
7. ოფიციალური დაცვისაგან შეზღუდვა

### ნაწილი C ბიოუსაფრთხოება

8. მიზანი
9. კონტროლს დაქვემდებარებული აგენტები და ტოქსინები
10. კონტროლს დაქვემდებარებული მოწყობილობა და ტექნოლოგია
11. კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების ლიცენზირება
12. კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების ქვეყნის შიდა გადატანის კონტროლი
13. საერთაშორისო ტრანსფერის კონტროლი
14. კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების ტრანსპორტირება

### ნაწილი D გატარება

15. [პასუხისმგებელი ორგანოს] შექმნა, მანდატი და აქტის გატარების უფლებამოსილება
16. საქართველოს ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემის (BERISS) შექმნა
17. დოკუმენტაციის წარმოება და ანგარიშგება და მასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულები
18. ინსპექციები
19. ინსპექტორის მოვალეობები
20. ინსპექტირებული შენობების ხელმძღვანელების მოვალეობები და მათთან დაკავშირებული დანაშაულები
21. მითითებები, რომლებიც მოითხოვენ უშიშროების ზომებს და მასთან დაკავშირებული დანაშაულები
22. გამოძიებები
23. კონფისკაცია, ჩამორთმევა და განადგურება
24. სასამართლოს ბრძანებები
25. დანაშაულის გაგრძელება
26. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასჯელები
27. კანონის მოქმედება (მოხმარება)
28. თანამშრომლობა და დახმარება სამართლებრივ საკითხებში

### ნაწილი E კანონქვემდებარე აქტები

29. კანონქვემდებარე აქტები

## ნაწილი A შესავალი თავები

### 1. მოკლე სათაური

ამ [საკანონმდებლო აქტს, სტატუტს, დეკრეტს, კანონს] შეიძლება ვუწოდოთ [წლის] [ბიოლოგიური და ტოქსინური იარაღის კონვენციის დანერგვის [საკანონმდებლო აქტი, სტატუტი, დეკრეტი, კანონი]].

### 2. მიზანი

ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მიზანია 1972 წლის ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციისა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1540-ე რეზოლუციის ბიოლოგიური იარაღის აკრძალვასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნების დანერგვა ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების არასწორი გამოყენების აკრძალვით, ბიოუსაფრთხოების ხელშეწყობითა და საქართველოს მიერ მისი საერთაშორისო ვალდებულებების დაცვით, რათა მოხდეს ბიოლოგიური და ტოქსინების იარაღის გავრცელების პრევენცია. ნაწილი B კრძალავს ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების არასწორ გამოყენებასა და მსგავს დანაშაულებრივ ქმედებებს. ნაწილი C აწესებს კონტროლს გარკვეული სახის ბიოლოგიურ აგენტებზე, ტოქსინებზე, მოწყობილობასა და ტექნოლოგიაზე და იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც მათთან დაკავშირებით ხდება. ნაწილი D აწესებს სასჯელისა და [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] გატარების ზომებს. ნაწილი E განიხილავს [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს.

### 3. [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს თავის თავზე

ეს [საკანონმდებლო აქტი, სტატუტი, დეკრეტი, კანონი] ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებებს.

### 4. ინტერპრეტაცია

(1) ამ [საკანონმდებლო აქტში, სტატუტში, დეკრეტში, კანონში]

(a) „ბიოლოგიური ან ტოქსიკური იარაღი“ ნიშნავს –

- i. ისეთი სახეობებისა და რაოდენობის მიკრობულ ან სხვა ბიოლოგიურ აგენტს ან ტოქსინს, მათი წარმომავლობის ან დამზადების მეთოდის მიუხედავად, რომლის პროფილაქტიკური, დამცავი ან სხვა მშვიდობიანი მიზნით წარმოებას გამართლება არ აქვს;
- ii. იარაღები, მოწყობილობა ან ადგილზე მიტანის საშუალებები, რომლებიც შექმნილია ამ აგენტების ან ტოქსინების მტრული მიზნების ან შეიარაღებული კონფლიქტისათვის;

- (b) როგორც „კონტროლს დაქვემდებარებულ აგენტებსა და ტოქსინებს“, ასევე „კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების სიას“ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-9 სექციაში;
- (c) როგორც „კონტროლს დაქვემდებარებულ მოწყობილობებსა და ტექნოლოგიებს“, ასევე „კონტროლს დაქვემდებარებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების სიას“ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-10 სექციაში;
- (d) „უწყება“ ნიშნავს სამთავრობო სააგენტოს, აკადემიურ დაწესებულებას, კორპორაციას, კომპანიას, პარტნიორობას, საზოგადოებას, ასოციაციას, ფირმას, ინდივიდუალურ მეწარმეს ან სხვა იურიდიულ პირს;
- (e) „პიროვნება“ ნიშნავს ფიზიკურ პირს ან ქვეყნის შიდა კანონის კრიმინალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ნებისმიერ იურიდიულ პირს;
- (f) „პასუხისმგებელი ორგანო“ ნიშნავს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-15 სექციის ძალით შექმნილ ორგანიზაციას;
- (g) „ტერიტორია“ ნიშნავს საქართველოს ფარგლებში არსებულ ან ნებისმიერ სხვა ადგილას მისი იურისდიქციის ან კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიას.

(2) [პასუხისმგებელ ორგანოს] შეუძლია კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, სადაც ამ [საკანონმდებლო აქტისათვის, სტატუტისათვის, დეკრეტისათვის, კანონისათვის] „ბიოლოგიური აგენტი“, „ტოქსინი“, „მოწყობილობა“ და „ტექნოლოგია“ იქნება განმარტებული.

## ნაწილი B აკრძალვები

### 5. ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების არასწორად გამოყენება

(1) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც გაცნობიერებულად –

- (a) ქმნის, აწარმოებს ან სხვა მხრივ იძენს, დაგროვება-მომარაგება ან ფლობს ნებისმიერი სახის ბიოლოგიურ ან ტოქსიკურ იარაღს, ან პირდაპირ თუ არაპირდაპირ გადასცემს სხვას;
- (b) იყენებს ნებისმიერი სახის ბიოლოგიურ ან ტოქსიკურ იარაღს;
- (c) ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოებს ბიოლოგიური ან ტოქსიკური იარაღის გამოსაყენებლად;
- (d) აგებს, იძენს ან ფლობს რაიმე ობიექტს მასში ბიოლოგიური ან ტოქსიკური იარაღის წარმოების მიზნით; ან
- (e) ნებისმიერი სახის აგენტს ან ტოქსინს იარაღის სახით ამზადებს.

(2) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც განზრახ გაავრცელებს ბიოლოგიურ აგენტებს ან ტოქსინებს ადამიანების, ცხოველების ან მცენარეების დამავების და სიკვდილის გამოწვევის მიზნით, რათა მთავრობა ან მშვიდობიანი მოსახლეობა დააშინოს ან აიძულოს შეცვალოს პოლიტიკური ან სოციალური კურსი.



(3) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც –

- (a) ამზადებს, იძენს, აწარმოებს, ამუშავებს, ინახავს, გადააქვს, გადასცემს ან იყენებს კონტროლირებად აგენტებს ან ტოქსინებს -
  - i. ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-11 სექციის ძალით [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე,
  - ii. ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-11 სექციის ძალით [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ გაცემული ლიცენზიის პირობების დარღვევით, ან
  - iii. ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-11 სექციის ნებისმიერი დებულების დარღვევით;
- (b) ახდენს საქართველოს ტერიტორიაზე კონტროლს დაქვემდებარებული აგენტების ან ტოქსინების გადაცემას სხვა ინდივიდებისათვის ან უწყებებისათვის, რომელთათვისაც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-12 სექციის ძალით [პასუხისმგებელი ორგანოს] ლიცენზია არ გაუცია, ან თუ არ შეატყობინებს [პასუხისმგებელი ორგანოს] ამ გადაცემის შესახებ;
- (c) ეწევა ნებისმიერი კონტროლს დაქვემდებარებული აგენტის, ტოქსინის, მოწყობილობის ან ტექნოლოგიის იმპორტს, ექსპორტს, ხელახალ ექსპორტს ან ტრანსგადაზიდვას საქართველოს ტერიტორიის გავლით -
  - i. ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-13 სექციის ძალით [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ გაცემული გადაზიდვის ნებართვის გარეშე, ან
  - ii. ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-13 ნაწილის ძალით საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის გარეშე;
- (d) ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ არ მოახდენს კონტროლირებადი აგენტების ან ტოქსინების გადაზიდვას ნებართვის მქონე გამომწველის გამოყენებით ან თუ მე-14 სექციის რომელიმე დებულებას დაარღვევს;
- (e) ააგებს, შეიძენს ან ფლობაში იქონიებს რაიმე ობიექტს, რომელიც დაპროექტებულია ან გამიზნულია რომელიმე კონტროლირებადი აგენტის ან ტოქსინის წარმოების ან კვლევისათვის, გარდა ამ [საკანონმდებლო აქტისა, სტატუტისა, დეკრეტისა, კანონისა] და მისი ძალით მიღებული ნებისმიერი კანონქვემდებარე აქტის თანახმად შესრულებული მოქმედებებისა;
- (f) უკანონოდ აღწევს ან აზიანებს კონტროლირებადი აგენტების ან ტოქსინების შემცველ რაიმე ობიექტს, შეფუთვას ან ჰერმეტიზაციას, რათა მათი გაჟონვა და გავრცელება გამოიწვიოს; ან
- (g) გადაამისამართებს ან მოიპარავს კონტროლირებად აგენტებს ან ტოქსინებს ობიექტიდან ან ნებადართული სატრანსპორტო საშუალებიდან ან გამოიყენებს ან ხელში ჩაიგდებს ლიცენზირებულ სატრანსპორტო საშუალებას, რომელშიც მოთავსებულია კონტროლირებადი აგენტები ან ტოქსინები, რათა გამოიწვიოს ამ კონტროლირებადი აგენტების ან ტოქსინების გაჟონვა და გავრცელება.

## 6. ალტერნატიული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც –

- (a) დაეხმარება, წააქეზებს ან რაიმე საშუალებით დაარწმუნებს ვინმეს ჩაერთოს ამ (მე-5) სექციის ძალით ნებისმიერ აკრძალულ მოქმედებებში;
- (b) უბრძანებს ან მიუთითებს ვინმეს ჩაერთოს ამ (მე-5) სექციის ძალით ნებისმიერ აკრძალულ მოქმედებებში;
- (c) შეეცდება ჩაიდინოს ამ (მე-5) სექციით ნებისმიერი აკრძალული მოქმედებები;
- (d) დაიმუქრება, რომ ჩაიდენს ამ (მე-5) სექციით ნებისმიერ აკრძალულ მოქმედებებს;
- (e) გამოვა თანამზრახველის როლში ან დააფინანსებს ამ (მე-5) სექციით ნებისმიერ აკრძალულ მოქმედებებს.

## 7. ოფიციალური დაცვისაგან შეზღუდვა

ამ ნაწილის დარღვევის გამო ბრალდებული პირისათვის გასამართლებელ გარემოებად არ მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ის ხელმძღვანელი პირის ბრძანებითა და ინსტრუქციებით ან სხვა მხრივ შინაგანი კანონის თანახმად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

## ნაწილი C ბიოუსაფრთხოება

### 8. მიზანი

ნაწილი C ეხება გარკვეული სახის ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების შექმნის, შექმნის, წარმოების, ფლობის, ტრანსპორტირების, დაგროვება-მომარაგების, გადაცემის ან მოხმარების კონტროლსა და ზოგიერთი სახის ორნაირი გამოყენების ბიოლოგიური მოწყობილობისა და ტექნოლოგიის კონტროლს. ნაწილი C-ს მიზანია, უზრუნველყოს ამგვარი აგენტების, ტოქსინების, მოწყობილობის და ტექნოლოგიის უსაფრთხოებისა და უშიშროების კონტროლი საქართველოში. ეს ნაწილი და მის დასაწერგად შემოთავაზებული კანონქვემდებარე აქტები, განსაკუთრებით, გამიზნულია ქურდობის, დაკარგვის, გადამისამართების, უკანონო კონტრაბანდული გადატანის ან კონტროლირებული აგენტებისა და ტოქსინების არასწორი გაშვება-გავრცელების პრევენციისათვის.

## 9. კონტროლირებადი აგენტები და ტოქსინები<sup>1</sup>

*არჩევანი 1:* [(1) [პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა შექმნას და აწარმოოს იმ ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების სია, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და ასევე სახელმწიფო უშიშროებას, შემდეგი კრიტერიუმებზე დაყრდნობით -

- (a) ზემოქმედების გავლენა ადამიანის, ცხოველის ან მცენარის ჯანმრთელობაზე ან ცხოველურ ან მცენარეულ პროდუქტებზე;
- (b) დაავადების გადადების/გავრცელების ხარისხი და გადადების მეთოდი;
- (c) ფარმაკოთერაპიისა და იმუნიზაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა
- (d) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც შესაფერისად ჩაითვლება, თუ ასეთი არსებობს. ამ შემთხვევაში [პასუხისმგებელმა ორგანომ] საჯაროდ უნდა გაამხილოს და დაასაბუთოს ამგვარი კრიტერიუმის გამოყენების აუცილებლობა.

(2) ამ სექციის მიხედვით შედგენილ სიაში შესულ ბიოლოგიური აგენტებსა და ტოქსინებს, უნდა ეწოდოს, "კონტროლს დაქვემდებარებული აგენტები და/ან ტოქსინები", ხოლო ამგვარი აგენტებისა და ტოქსინების სიას, "კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების სია". კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების სია უნდა იქნეს შეტანილი კანონქვემდებარე აქტებში, რომლებიც მომზადდება ამ სექციის თანახმად და [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ პერიოდულად მოხდება მისი გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა.

*არჩევანი 2:* [(1) [პასუხისმგებელმა ორგანომ] რისკის ჯგუფების მიხედვით უნდა შექმნას და აწარმოოს ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების სია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფექციური მიკროორგანიზმების კლასიფიკაციაზე დაყრდნობით.<sup>2</sup> ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების სია და სახელმძღვანელო

---

<sup>1</sup> საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების სიის შედგენისათვის ეს სანიმუშო აქტი გვთავაზობს ორ ვარიანტს ლიცენზირების, ანგარიშგებისა და ინსპექციების საშუალებით: სია, რომელიც ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომელიც კავშირშია მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან და ასევე სახელმწიფო უშიშროებასთან და სია, რომელიც ეყრდნობა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რისკის ჯგუფის ოთხ კატეგორიას. არსებული სიები ხელმისაწვდომია მოთხოვნით.

<sup>2</sup> ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელო (მესამე გამოცემა), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2004 წ. სახელმძღვანელო მითითებები შემდეგია:

*რისკის ჯგუფი 1* (ინდივიდების ან საზოგადოებისათვის მცირე ან არანაირი რისკი): მიკროორგანიზმები, რომლებიც სავარაუდოდ არ გამოიწვევს დაავადებას ადამიანებსა და ცხოველებში.

*რისკის ჯგუფი 2* (ზომიერი რისკი ინდივიდებისათვის და მცირე რისკი საზოგადოებისათვის): პათოგენები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დაავადება ადამიანში ან ცხოველში, ოღონდ სავარაუდოდ სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენს ლაბორატორიაში მომუშავე თანამშრომლების, მოსახლეობის, პირუტყვისა და გარემოსათვის. ლაბორატორიაში მიღებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ინფექცია, მაგრამ ამისათვის არსებობს ეფექტური მკურნალობაცა და პრევენციული ზომებიც. ამიტომ ინფექციის გავრცელება შეზღუდულია.

მითითებები, რომლის მიხედვითაც ეს სია იქმნება, უნდა გახდეს კანონქვემდებარე აქტების ნაწილი, რომლებიც უნდა შეიქმნას ამ სექციის მიხედვით და, რომელთა პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ მათში ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელდეს [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ.

(2) ამ სექციის მიხედვით შედგენილ სიაში, [1,] [2,] [3,] [და] [4] რისკ ჯგუფში [ჯგუფებში] შესულ ბიოლოგიურ აგენტებსა და ტოქსინებს, უნდა ეწოდოს, "კონტროლს დაქვემდებარებული აგენტები და/ან ტოქსინები", ხოლო ამგვარი აგენტებისა და ტოქსინების სიას, "კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების სია".]

## 10. კონტროლს დაქვემდებარებული მოწყობილობა და ტექნოლოგია

(1) [პასუხისმგებელმა ორგანომ] უნდა შექმნას და აწარმოოს ორნაირი გამოყენების ბიოლოგიური მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სია.<sup>3</sup>

(2) ამ სექციის მიხედვით შედგენილ სიაში შესულ ორნაირი გამოყენების ბიოლოგიური მოწყობილობას და აგენტებს, უნდა ეწოდოს "კონტროლს დაქვემდებარებული მოწყობილობა და ტექნოლოგია", ხოლო ამგვარი მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სიას, "კონტროლს დაქვემდებარებული მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სია". კონტროლს დაქვემდებარებული მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სია უნდა იქნეს შეტანილი კანონქვემდებარე აქტებში, რომელიც შეიქმნება ამ სექციის თანახმად, და პერიოდულად მოხდება [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ მისი გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა].

## 11. კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისა და ტოქსინების ლიცენზირება

### ლიცენზირება

(1) ყველა ინდივიდს ან უწყებას, რომელიც ქმნის, იძენს, აწარმოებს, ფლობს, ინახავს, გადააქვს, გადასცემს ან იყენებს კონტროლირებად აგენტებსა და ტოქსინებს უნდა ჰქონდეს [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მიხედვით შედგენილი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე გაცემული ლიცენზია. კანონქვემდებარე აქტებით უნდა მოითხოვებოდეს, რომ ინდივიდებმა ან უწყებებმა მიიღონ ლიცენზია, როგორც ეს ამ სექციაშია განსაზღვრული და ჰქონდეთ ამგვარი კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების

---

*რისკის ჯგუფი 3* (ინდივიდებისათვის მაღალი, ხოლო მოსახლეობისათვის დაბალი რისკი): პათოგენი, რომელიც იწვევს სერიოზულ დაავადებას ადამიანებში ან ცხოველებში, მაგრამ, ჩვეულებრივ, არ ვრცელდება ერთი ინდივიდიდან მეორეზე. არსებობს ეფექტური მკურნალობა და პრევენციული ზომებიც.

*რისკის ჯგუფი 4* (ინდივიდებისათვის და საზოგადოებისათვის მაღალი რისკი): პათოგენი, რომელიც, ჩვეულებრივ, იწვევს სერიოზულ დაავადებას ადამიანებში ან ცხოველებში და, რომელიც ადვილად გადაეცემა ერთი ინდივიდიდან მეორეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. ჩვეულებრივ, არ არსებობს მისი ეფექტური მკურნალობა ან პრევენციული ზომები.

<sup>3</sup> არსებული სიები ხელმისაწვდომია მოთხოვნით

შექმნის, შექმნის, წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემის ან გამოყენების კანონიერი მიზანი.

(2) ამ სექციის მიხედვით გაცემულ ლიცენზიაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა კონტროლირებადი აგენტი თუ ტოქსინი, რომლის შექმნის, შექმნის, წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემის ან გამოყენების უფლებაც აქვს მინიჭებული ინდივიდს თუ უწყებას.

(3) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტები უნდა შეიცავდეს პროცედურას ლიცენზიის გამოთხოვის შესახებ შესაფერის შემთხვევებში, მათ შორის ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ნებისმიერი დარღვევების შემთხვევებში.

(4) [პასუხისმგებელმა ორგანომ] ლიცენზია არ უნდა გასცეს იმ ინდივიდსა თუ უწყებაზე, რომლებიც შეტანილია ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მიხედვით შედგენილი კანონქვემდებარე აქტის აკრძალულ ინდივიდთა და უწყებათა სიაში.

*ლიცენზირების ვალდებულებებისაგან განთავისუფლება*

(5) ამ სექციის ძალით [პასუხისმგებელი ორგანო] ლიცენზიის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს მხოლოდ ჯანმრთელობის ან სოფლის მეურნეობის საგანგებო შემთხვევების დროს, ნივთმტკიცებულების შენარჩუნების მიზნებისათვის ან ისეთი პროდუქტების შემთხვევაში, რომლებიც ლიცენზირებულია საკვები პროდუქტების, მედიკამენტების, კოსმეტიკური საშუალებების, მწერების გასანადგურებელი საშუალებების ან კანონით გათვალისწინებული მსაგავსი შემთხვევებისას.

*უწყების ლიცენზიები და შიდაკორპორაციული კონტროლის ოფიცერი*

(6) უწყების მიერ ლიცენზიაზე განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას უწყების ფლობის ან კონტროლის შესახებ. [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ლიცენზიის გაცემის პირობა, ამ სექციის ძალით ლიცენზიის მამიებელმა უწყებამ თითოეულ ობიექტზე უნდა დანიშნოს და შიდაკორპორაციული კონტროლის ოფიცრის უფლებამოსილება მიანიჭოს რომელიმე პიროვნებას და აცნობოს ამის შესახებ [პასუხისმგებელ ორგანოს]. კონტროლის ოფიცრს უნდა ჰქონდეს შესაფერისი უფლებამოსილება, რომ იმოქმედოს ობიექტის სახელით და დაიცვას ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონისა] და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები. უწყებამ კავშირი უნდა დაამყაროს თავისი ობიექტების შიდა კონტროლის ოფიცრებსა და [პასუხისმგებელ ორგანოს] შორის ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] შესრულების მიზნით და უნდა ჰქონდეს ამგვარი სხვა პასუხისმგებლობებიც, როგორც ეს კანონქვემდებარე აქტში შეიძლება იყოს მოცემული.

(7) ამ სექციის ძალით ნებისმიერ ლიცენზირებულ უწყებაში კონტროლირებად აგენტებსა და ტოქსინებთან დაშვება ექნებათ მხოლოდ იმ პირობს, რომლებსაც ასევე აქვთ ამ სექციის ძალით მიღებული ლიცენზია კონტროლირებადი აგენტების შექმნის,

შეძენის, წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემის ან გამოყენების შესახებ.

*ობიექტების შესახებ შეტყობინება*

(8) უწყებამ [პასუხისმგებელ ორგანოს] უნდა შეატყობინოს მისი ყველა იმ ობიექტის შესახებ, სადაც ხდება კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების შექმნა, შეძენა, წარმოება, ფლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, გადაცემა ან გამოყენება და ასევე იმ ლიცენზირებულ პირთა სია, რომლებიც ამ ობიექტებზე მუშაობენ. ობიექტები, რომელთა შესახებაც მოხდა [პასუხისმგებელი ორგანოს] შეტყობინება "განცხადებულ ობიექტებად" მოიხსენიება.

*უწყების ლიცენზიები, ბიოუშიშროება და ბიოუსაფრთხოება.*

(9) (a) როგორც ლიცენზიის გაცემის პირობა, ამ სექციის ძალით ლიცენზიის მამიებელმა ყველა უწყებამ უნდა დაადასტუროს, რომ მისი ყველა განცხადებული ობიექტი იცავს ბიოუშიშროების შესახებ კანონქვემდებარე აქტებს, რომელიც მიიღეს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე, <sup>4</sup>რათა არ მოხდეს არალიცენზირებული პირების კონტროლირებად აგენტებსა თუ ტოქსინებთან დაშვება. კანონქვემდებარე აქტში დაკონკრეტებული უნდა იყოს ფიზიკური დაცვის ზომები, მათ შორის ფიზიკური და თანამშრომლების უშიშროების გეგმები იმ ობიექტებისათვის, სადაც კონტროლირებად აგენტებს ქმნიან, იძენენ, აწარმოებენ, ფლობენ, ინახავენ, გადააქვთ, გადასცემენ ან იყენებენ. კანონქვემდებარე აქტებით უნდა მოითხოვებოდეს თანამშრომლების წარსულის შემოწმება უშიშროებაზე, ობიექტებზე მომუშავე თანამშრომლების საიმედობის უზრუნველსაყოფად, სადაც ხდება კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების შექმნა, შეძენა, წარმოება, ფლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, გადაცემა თუ გამოყენება. ფიზიკური ან თანამშრომლების უშიშროების მიმართ წაყენებული მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს კონტროლირებადი აგენტების რისკის დონეს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის.

(b) როგორც ლიცენზიის გაცემის პირობა, ამ სექციის ძალით ლიცენზიის მამიებელმა ყველა უწყებამ ასევე უნდა დაადასტუროს, რომ მისი ყველა განცხადებული ობიექტი იცავს ბიოუსაფრთხოების შესახებ კანონქვემდებარე აქტებს, რომელიც მიიღეს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] <sup>5</sup>საფუძველზე, რათა არ მოხდეს კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების შემთხვევითი ზემოქმედება ან მათი შემთხვევითი გაშვება-გავრცელება.

*[პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ საქმის წარმოება*

(10) [პასუხისმგებელმა ორგანომ] ამ სექციის ძალით უნდა აწარმოოს ყველა ლიცენზირებული პირის, უწყებისა და განცხადებული ობიექტის ზუსტი აღრიცხვა,

<sup>4</sup> ქვეყნებმა შეიძლება არჩიონ ამ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოს“ გამოყენებით (მესამე გამოცემა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2004 წელი).

<sup>5</sup> ქვეყნებმა შეიძლება მოისურვონ ამ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოს“ თანახმად (მესამე გამოცემა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2004 წელი).

მათ შორის ლიცენზირებული პირების, უწყებებისა და განცხადებული ობიექტების სახელები/სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, ინფორმაცია კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების შესახებ, რომელთა შექმნის, შეძენის, წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემის ან გამოყენების ლიცენზიაც აქვს ინდივიდს თუ უწყებას.

*ქურდობის, დაკარგვის ან გავრცელება-გაჟონვის შეტყობინება*

(11) ინდივიდებმა ან უწყებებმა (და მათმა განცხადებულმა ობიექტებმა), რომლებსაც ლიცენზია აქვთ მიღებული ამ სექციის ძალით, კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ქურდობის, დაკარგვის ან გავრცელება-გაჟონვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ [პასუხისმგებელ ორგანოს], [შესაფერის სამართალდამცავ უწყებასა] და საქართველოს ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემას (BERISS). ლიცენზირებულ უწყებებს უფლება აქვთ შეიმუშაონ ქურდობის, დაკარგვის ან გავრცელება-გაჟონვის შეტყობინების პროცედურები განცხადებული ობიექტებისათვის.

*არაკონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების გამოყენებასთან დაკავშირებული მოქმედებების რისკის შეფასება*

(12) ქვესექცია (1): ყველა პირმა, უწყებამ ან ობიექტმა, რომელიც ქმნის, იძენს, აწარმოებს, ფლობს, ინახავს, გადააქვს, გადასცემს ან იყენებს არაკონტროლირებად აგენტებსა თუ ტოქსინებს, უნდა მოახდინოს რისკის შეფასება ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებში აღწერილი პროცედურების მიხედვით, ყველა მათ მიერ დაწყებული მოქმედებისათვის, რომელიც მათი რწმენით, შეიძლება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და სახელმწიფო უშიშროებას საფრთხეს უქმნიდეს. რისკის შეფასება უნდა წარედგინოს [პასუხისმგებელ ორგანოს] კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ ვადებში.

## **12. კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების ქვეყნის შიდა გადატანის კონტროლი**

(1) კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების საქართველოს ტერიტორიის შიგნით გადატანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ ინდივიდებსა და უწყებებს (და მათ განცხადებულ ობიექტებს) შორის, რომლებსაც მიღებული აქვთ ლიცენზია ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე შედგენილი ნებისმიერი კანონქვემდებარე აქტის თანახმად.

(2) კონტროლირებადი აგენტების დაგეგმილი გადაცემის შესახებ საქართველოს შიდა ტერიტორიაზე, წინასწარ უნდა მოხსენდეს [პასუხისმგებელ ორგანოს] ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე შედგენილი კანონქვემდებარე აქტების თანახმად.

(3) [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ მიღებულ კანონქვემდებარე აქტებში უნდა მოხდეს დამატებითი ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების დაკონკრეტება,

რომლებიც არეგულირებს ტრანსფერს, მათ შორის კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების გზაში გადაადგილების თვალ-ყურის დევნის ზომებს, და გზავნილის მიღების დადასტურებას, რომ კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების მკაცრი აღრიცხვა და კონტროლი განუწყვეტლივ ხორციელდებოდეს.

### 13. საერთაშორისო გადაცემის კონტროლი

*კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების, მოწყობილობისა და ტექნოლოგიის იმპორტი, ექსპორტი, ხელახალი ექსპორტი და ტრანსგადაზიდვა*

(1) ყოველ პირს ან უწყებას, რომელიც ახდენს კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების, მოწყობილობისა და ტექნოლოგიის იმპორტს, ექსპორტს, ხელახალ ექსპორტსა და ტრანსგადაზიდვას საქართველოს ტერიტორიის გავლით, უნდა ჰქონდეს [პასუხისმგებელი ორგანოს ან სახელმწიფო იმპორტ-ექსპორტის მაკონტროლებელი ორგანოს] მიერ გაცემული ნებართვა.

(2) [პასუხისმგებელმა ორგანომ ან სახელმწიფო იმპორტ-ექსპორტის მაკონტროლებელმა ორგანომ] უნდა გამოსცეს კანონქვემდებარე აქტები, სადაც მოცემული იქნება კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების ან კონტროლირებადი მოწყობილობისა და ტექნოლოგიის გადატანის ნებართვის მიღების პროცედურები.

(3) თუ [პასუხისმგებელ ორგანოს] აქვს მიზეზი, ეჭვი შეიტანოს ან ჯეროდეს, რომ იმპორტირებული, ექსპორტირებული, ხელახლა ექსპორტირებული, ან ტრანსგადაზიდული არაკონტროლირებადი აგენტი ან ტოქსინი, არაკონტროლირებადი მოწყობილობა ან ტექნოლოგია შეიძლება გამოიყენონ [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით] აკრძალულ პროცესებში, [პასუხისმგებელმა ორგანომ] შესაბამისი სასამართლო ორგანოდან უნდა აიღოს იმპორტის, ექსპორტის, ხელახალი ექსპორტის თუ ტრანსგადაზიდვის შემაჩერებელი ბრძანება.

*ექსპორტის პროცედურები*

(4) [პასუხისმგებელმა ორგანომ ან სახელმწიფო იმპორტ-ექსპორტის მაკონტროლებელმა ორგანომ] უნდა შეიმუშაოს პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ კონტროლირებადი აგენტები თუ ტოქსინები ან კონტროლირებადი მოწყობილობა თუ ტექნოლოგია ექსპორტით მხოლოდ იმ ინდივიდებს, უწყებებს ან ობიექტებს მიეწოდება სხვა ქვეყანაში, რომელთა რეგულირებაც კონტროლირებად აგენტებსა თუ ტოქსინების ან კონტროლირებად მოწყობილობასა თუ ტექნოლოგიასთან დაკავშირებით ანალოგიურად ხდება.

(5) ქვესექცია (4)-ის პროცედურებში უნდა შედიოდეს საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის მოთხოვნილება, რომელიც მინიმუმ უნდა შეიცავდეს -

- (a) განცხადებას, რომ კონტროლირებად აგენტებსა თუ ტოქსინებს ან კონტროლირებად მოწყობილობასა თუ ტექნოლოგიას მხოლოდ კანონიერ მიზნებით გამოიყენებენ;



- (b) განცხადებას, რომ არ მოხდება კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ან კონტროლირებადი მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის ხელახალი გადაცემა;
- (c) კონტროლირებადი აგენტის თუ ტოქსინის სახეობას და რაოდენობას ან კონტროლირებადი მოწყობილობის თუ ტექნოლოგიის აღწერას, რომელთა გადაადგილებაც უნდა მოხდეს;
- (d) კონტროლირებადი აგენტისა თუ ტოქსინის ან კონტროლირებადი მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის საბოლოო მოხმარების მიზანს, რომლის გადაადგილებაც უნდა მოხდეს; და
- (e) საბოლოო მომხმარებლის (მომხმარებლების) ან შუამავლების სახელს (სახელებს) და ადგილმდებარეობას (ადგილმდებარეობებს).

*ტრანზიტი*

(6) [პასუხისმგებელმა ორგანომ ან სახელმწიფო იმპორტ-ექსპორტის მაკონტროლებელმა ორგანომ] უნდა გამოსცეს კანონქვემდებარე აქტები, მოთხოვნებისა და პროცედურების დაფუძნებისათვის, რომლებიც უნდა შესრულდეს კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ან კონტროლირებადი მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის ტრანზიტისას საქართველოს ტერიტორიაზე.

**14. კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების ტრანსპორტირება**

*გადატანა მხოლოდ ნებადართული გადამზიდველების მიერ*

(1) მე-12 და მე-13 სექციით განსაზღვრული კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების ქვეყნის შიდა და საერთაშორისო გადატანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ქვესექცია (2)-ის ძალით [ტრანსპორტის სამინისტროს ან პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ ნებადართული გადამზიდველების მიერ.

*ნებადართული გადამზიდველები*

(2) [ტრანსპორტის სამინისტრომ ან პასუხისმგებელმა ორგანომ] უნდა აწარმოოს კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების ნებადართული გადამზიდველების სია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებისათვის. სიაში უნდა მოხვდნენ მხოლოდ ის გადამზიდველები, რომლებმაც [ტრანსპორტის სამინისტროსათვის ან პასუხისმგებელი ორგანოსათვის] მოახდინეს დემონსტრირება, რომ იცავენ შეფუთვის, მარკირებისა და გზავნილის გზაში თვალ-ყურის დევნის საუკეთესო პრაქტიკასა და უსაფრთხოებისა და უშიშროების ზომებს თავისი თანამშრომლების, მანქანებისა და ობიექტებისათვის.

*ტრანსპორტირების სახელმძღვანელო-პრინციპები*

(3) კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს საშიში მასალების ტრანსპორტირების სახელმძღვანელო-პრინციპების, [ტრანსპორტის სამინისტროს] მიერ შეფუთვა-მარკირებაზე დაწესებული მოთხოვნილებების დაცვითა და ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე [პასუხისმგებელი ორგანოს] მიღებული კანონქვემდებარე აქტების შესრულებით. ყველა გადამზიდველი,

რომელიც ახდენს კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების იმპორტს, ექსპორტს, ხელახალ ექსპორტსა და ტრანსგადაზიდვას საქართველოს ტერიტორიის გავლით, უნდა იცავდეს საშიში მასალების ტრანსპორტირების თაობაზე შედგენილ ყველა შესაბამის საერთაშორისო კანონქვემდებარე აქტს.

*კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ქურდობის, დაკარგვის და გაშვება-გავრცელების შეტყობინება*

(4) გადამზიდველები, რომლებსაც კონტროლირებადი აგენტების ქვეყნის შიდა ან საერთაშორისო ტრანსპორტირების ნებართვა აქვთ ამ სექციის ძალით, კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ქურდობის, დაკარგვის ან გაშვება-გავრცელების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ [პასუხისმგებელ ორგანოსა] და [საქართველოს ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემას (BERISS)].

## ნაწილი D კანონის გატარება

### 15. [პასუხისმგებელი ორგანოს] შექმნა, მანდატი და აქტის გატარების უფლებამოსილება

*[პასუხისმგებელი ორგანოს] შექმნა*

(1) ამ სექციის ძალით ხდება [პასუხისმგებელი ორგანოს] შექმნა, რომელმაც უნდა გაატაროს მოცემული [საკანონმდებლო აქტი, სტატუტი, დეკრეტი, კანონი] და ნებისმიერი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ამის საფუძველზე იქნა მიღებული.

*შემადგენლობა<sup>6</sup>*

(2) [პასუხისმგებელი ორგანო] უნდა შედგებოდეს შემდეგისაგან -

- (a) [პრემიერ მინისტრის, მთავრობის მეთაურის] ოფისის წარმომადგენელი, რომელიც ასევე უნდა ასრულებდეს [პასუხისმგებელი ორგანოს] თავმჯდომარის მოვალეობას;
- (b) საგარეო სამინისტროს წარმომადგენელი;
- (c) იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (d) გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი;
- (e) მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (f) გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (g) ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (h) სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (i) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;
- (j) ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენელი;

<sup>6</sup> ეს სია მხოლოდ ილუსტრაციულია და უნდა მოერგოს ქვეყნის კონსტიტუციურ და სავაჭრო სამართალს, გარემოებებს, საჭიროებებს და ა. შ.

- (k) [სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის] წარმომადგენელი;
- (l) [სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის ორგანოს (საბაჟო სამსახური, პორტის სამმართველო)] წარმომადგენელი;
- (m) საქართველოს სავაჭრო პალატის წარმომადგენელი; და
- (n) საქართველოს ბიოლოგიური მრეწველობის ასოციაციის წარმომადგენელი.

*[პასუხისმგებელი ორგანოს] ფუნქციები და ვალდებულებები*

[პასუხისმგებელი ორგანომ] ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები უნდა შესრულოს გამჭვირვალობის შენარჩუნებით და შემოწმების უნარიანობით -

- (a) წარმოადგენდეს საქართველოს [პასუხისმგებელ ორგანოს];
- (b) მოახდინოს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონისა] და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების გატარების კურირება და მონიტორინგი;
- (c) გასცეს ლიცენზიები და ნებართვები ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონისა] და მის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი კანონქვემდებარე აქტის ძალით;
- (d) მიაწოდოს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნებს შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია, რითაც შეასრულებს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს;
- (e) ხელი შეუწყოს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე ინსპექციების ჩატარებას;
- (f) მოამზადოს დებულებები კანონიერი მიზნებისათვის ბიოლოგიური კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოდ;
- (g) შექმნას ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემა (BERISS), დაამყაროს მასთან კავშირი და შეუმოწმოს მუშაობა;
- (h) დაამყაროს კავშირები სხვა ქვეყნის ეკვივალენტურ [პასუხისმგებელ ორგანოებთან];
- (i) შეასრულოს შესაფერისი ორგანოებიდან მიღებული ნებისმიერი დავალება;
- (j) ყოველწლიურად პარლამენტს ჩააბაროს ანგარიში პასუხისმგებელი ორგანოსა და ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემის (BERISS) მუშაობის შესახებ; და
- (k) მისცეს რჩევა [პრემიერ მინისტრს, მთავრობის მეთაურს] ამ [საკანონმდებლო აქტთან, სტატუტთან, დეკრეტთან, კანონთან] დაკავშირებულ საკითხებზე, და მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია პრემიერ მინისტრს ან სხვა შესაფერის უფლებამოსილ პირებს.

(4) [პასუხისმგებელმა ორგანომ] შეიძლება დანიშნოს სპეციალური დანიშნულების გუნდი, ამ [საკანონმდებლო აქტთან, სტატუტთან, დეკრეტთან, კანონთან] დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე რჩევისათვის.

**16. საქართველოს ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემის (BERISS) შექმნა**

*შექმნა*

(1) [პასუხისმგებელმა ორგანომ] უნდა შექმნას [ბიოლოგიური აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების დახმარების სისტემა], რაც ხელს შეუწყობს ბიოლოგიური აგენტების გამოყენებით გამოწვეულ ისეთ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებას, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობაზე და ასევე [შესაფერის სამართალდამცავ უწყებას] დაეხმარება ბიოლოგიური ინციდენტების გამოძიებაში.

*BERISS-ის საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობა*

(2) BERISS-ის მართვა და კოორდინაცია უნდა ხდებოდეს ჯგუფის მიერ, შემდეგი შემადგენლობით -

- (a) [პასუხისმგებელი ორგანოს] წარმომადგენელი, რომელიც მკვავშირის როლს შეასრულებს [პასუხისმგებელ ორგანოსა] და BERISS-ს შორის;
- (b) [ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ან საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების უსაფრთხოების უწყების] წარმომადგენელი;
- (c) სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (d) გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
- (e) სასწრაფო დახმარების ექიმი;
- (f) სამართალდამცავი ოფიცერი [შესაფერისი სამართალდამცავი ორგანოდან], რომელიც გაწვრთნილია ბიოლოგიურ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისათვის;
- (g) [სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის ორგანოს (საბაჟო სამსახური, პორტის სამმართველო)] წარმომადგენელი;
- (h) ეპიდემიოლოგი;
- (i) ვეტერინარი;
- (j) მასმედიასთან ურთიერთობის სპეციალისტი;
- (k) ბაქტერიული, ტოქსიკოლოგიური, ვირუსული, რიკეტსიისა და პრიონის დაავადებების სპეციალისტები; და
- (l) სხვა შესაფერისი სამსახურის სპეციალისტი (სპეციალისტები), რომელსაც BERISS-ი შესაფერისად მიიჩნევს.

(3) BERISS-ის საკოორდინაციო ჯგუფის წევრებს მოეთხოვებათ, გაიარონ უშიშროების შემოწმება, სანამ შეძლებენ სახელმწიფო უშიშროების, სამართალდამცავი და ჯანმრთელობის დაცვის თანამშრომლებთან ერთად მუშაობას.

*ფუნქციები და მოვალეობები*

(4) BERISS-ის საკოორდინაციო ჯგუფის მოვალეობები, რომლებიც უნდა იყოს გამჭვირვალე და ექვემდებარებოდეს შემოწმებას, შემდეგია -

- (a) ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების გამოყენებით გამოწვეულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების მართვა და გაძლიერება [პასუხისმგებელ ორგანოსთან] კოორდინაციით;
- (b) კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების შექმნის, შექმნის, წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემისა და მოხმარების საკითხებში ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის მეთვალყურეობისა და ანგარიშგების სისტემის შექმნა სხვა შესაფერის სამთავრობო უწყებებთან კოორდინაციით;
- (c) საჯარო საგანგებო შემთხვევების გამოცხადების ეფექტური სისტემის შექმნის უზრუნველყოფა;
- (d) [შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების] სამართალდამცავი ოფიცრების, საგანგებო/პირველი მორეაგირებებისა და საავადმყოფოების სათანადო აღჭურვა და წვრთნა ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების გამოყენებით გამოწვეულ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისათვის;
- (e) საფრთხეზე დაფუძნებული სამედიცინო და ჯანმრთელობის დაცვის არმოჩენის სტრატეგიების შემუშავება, რომელთა ძალითაც მოხდება ბიოლოგიურ აგენტებთან და ტოქსინებთან დაკავშირებული დაავადებების აფეთქებების გამოვლენა და განსაზღვრა;
- (f) ბიოლოგიური საფრთხის შესახებ კლასიფიცირებული დაზვერვის ინფორმაციის მიღება და შემოწმება;
- (g) ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება და შემოწმება;
- (h) არსებული მტკიცებულების შეკრება, შენახვა და წარმოდგენა ეპიდემიოლოგიური გამოძიების ექსპერტიზისა და დამნაშავეთა დასჯისათვის;
- (i) ბიოლოგიური საგანგებო შემთხვევებისა და ინციდენტების შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების [პასუხისმგებელი ორგანოსათვის] გადაცემა; და
- (j) ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების გამოყენებით გამოწვეულ საგანგებო შემთხვევებისათვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირებისათვის ზომების მიღება, მათ შორის [შესაფერისი სამართალდამცავი ორგანოს] სამართალდამცავ ოფიცრებთან თანამშრომლობა.

*კანონქვემდებარე აქტები*

(5) [პასუხისმგებელ ორგანოს] უნდა მიეცეს უფლებამოსილება, მიიღოს კანონქვემდებარე აქტები BERISS-ის ჩამოყალიბებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ.

**17. დოკუმენტაციის წარმოება და მოხსენებების წარმოება და მასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულები**

*მიზანი*

(1) ამ სექციის მიზანია შემდგომ უზრუნველყოფა, რომ -

- (a) კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების შექმნა, შეძენა, წარმოება, ფლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, გადაცემა ან მოხმარება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონიერი მიზნებისათვის; და
- (b) ობიექტები, სადაც ხდება კონტროლირებადი აგენტებისა და ტოქსინების შექმნა, შეძენა, წარმოება, ფლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, გადაცემა ან მოხმარება, უნდა ფიზიკურად უსაფრთხო იყოს.

(2) ამ სექციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებები მხოლოდ ქვესექცია (1)-ის მიზნით უნდა განხორციელდეს.

*დოკუმენტაციის წარმოება და ინფორმაციის მიწოდება*

(3) ყველა პირი, უწყება ან გადამზიდველი, რომელიც [საკანონმდებლო აქტს, სტატუტს, დეკრეტს, კანონსა] და მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს ექვემდებარება უნდა ასრულებდეს -

- (a) კანონქვემდებარე აქტით მოთხოვნილი მონაცემების, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაფორმებასა და წარმოებას კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ ვადებსა და დადგენილი პროცედურების მიხედვით ინდივიდის, უწყების ან გადამზიდველის წარმოებაში ან [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ სხვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.
- (b) ამგვარ მონაცემებზე, ინფორმაციაზე და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ანგარიშების მომზადებას ისე, როგორც შეიძლება კანონქვემდებარე აქტში იყოს მითითებული; და
- (c) [პასუხისმგებელი ორგანოსათვის] ან კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული სხვა ნებისმიერი უწყებისათვის ანგარიშების მიწოდებას, რომელიც კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრავს ვადებსა და ფორმას.

*ინფორმაციის გამხელის შესახებ შეტყობინება*

(4) [პასუხისმგებელმა ორგანომ], საფუძვლიანი რწმენის შემთხვევაში, შეიძლება გაუგზავნოს შეტყობინება, ინდივიდს, უწყებას ან გადამზიდველს, რომელსაც გააჩნია ისეთი მონაცემები, ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, რომელიც [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით] რეგულირდება და მოსთხოვოს ამ ინდივიდს, უწყებას ან გადამზიდველს [პასუხისმგებელ ორგანოს] მიაწოდოს ეს მონაცემები, ინფორმაცია ან დოკუმენტაცია.

(5) ინდივიდი, უწყება ან გადამზიდველი, რომელიც ქვესექცია (4)-ში მოხსენიებულ შეტყობინებას მიიღებს, ვალდებულია, [პასუხისმგებელ ორგანოს] მიაწოდოს ინდივიდის, უწყების ან გადამზიდველის მფლობელობაში არსებული მოთხოვნილი მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტაცია ისეთ ფორმასა და ვადებში, როგორც ეს შეტყობინებაშია განსაზღვრული.

*[პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ ინფორმაციის გადაცემა*

(6) [პასუხისმგებელ ორგანოს] უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გადასცეს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით მოპოვებული

შესაფერისი მონაცემები და ინფორმაცია სხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

#### *დანაშაულები*

(7) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც [პასუხისმგებელ ორგანოს] არ მიაწოდებს მონაცემებს, ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, ან ვინც ცრუ ან შეცდომაში შემყვან განაცხადს წარადგენს ნებისმიერ მონაცემში, ინფორმაციაში, დოკუმენტაციაში ან ამ სექციის მოთხოვნის საფუძველზე მომზადებულ ანგარიშში.

(8) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც განზრახ გამოტოვებს რაიმე ინფორმაციას, რითაც რაიმე მონაცემი, ინფორმაცია, დოკუმენტი ან ამ სექციის მოთხოვნის საფუძველზე მომზადებული ანგარიში გაყალბდება ან შეცდომაში შემყვანი იქნება.

(9) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც შეიძენს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] შესაბამის მონაცემებს, ინფორმაციას, დოკუმენტაციას ან მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულ ანგარიშებს, და წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცემს ამ მონაცემებს, ინფორმაციას, დოკუმენტაციას ან ანგარიშებს ნებისმიერ სხვა პირს ნებისმიერი ფორმით, გარდა -

- (a) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ან მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების გატარების ან გამოყენების მიზნებისათვის, მათ შორის სისხლის სამართლის გამოძიებებისა და დაზვერვის მონაცემების შეფასებისათვის;
- (b) საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; ან
- (c) როცა საჯარო უსაფრთხოების ინტერესების გამო მოითხოვება ამ მონაცემების, ინფორმაციის, დოკუმენტაციის ან ანგარიშების გამხელა ან გადაცემა.

## **18. ინსპექციები**

### *მიზანი*

(1) ამ სექციის მიხედვით, [პასუხისმგებელ ორგანოს] უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, მოახდინოს ინდივიდების, უწყებებისა (და მათი ობიექტების) და გადამზიდველების შემოწმება, რომელთა მოქმედებებიც რეგულირდება ამ [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით], რათა [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონისა] და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის ყველა შესაფერისი ბიოუსაფრთხოების ზომების, შესრულების უზრუნველყოფა მოხდეს.

### *ინსპექტორების დანიშვნა*

(2) [პასუხისმგებელმა ორგანომ] შეიძლება ინსპექტორებად დანიშნოს ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები,<sup>7</sup> [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] გატარების მიზნით, და შეიძლება ინსპექციის ჩატარების პირობებიც დააწესოს.

#### *ინსპექციების ჩატარება*

(3) ინსპექტორს შეუძლია რომელიმე შენობის ხელმძღვანელის თანხმობით ან ორდერით შევიდეს შენობაში და შეასრულოს მისი უფლებამოსილებები ქვესექცია (4)-ის ძალით, უზრუნველყოს -

- (a) რომ ხორციელდება ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონისა] და მის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი კანონქვემდებარე აქტის დებულებების დაცვა; ან
- (b) რომ ხდება მე-11 ან მე-13 სექციის ძალით გაცემული ლიცენზიის ან ნებართვის ყველა პირობის დაცვა, ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ.

#### *უფლებამოსილებანი*

(4) ინსპექტორს, რომელიც ინსპექციას ახორციელებს, შეუძლია -

- (a) შენობის ჩხრეკა;
- (b) გამოიყენოს ფოტო ან ვიდეოაპარატურა შენობის ნებისმიერ ადგილას, თუ მისი შენობაში გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით ხდება;
- (c) მოითხოვოს თანმხლები პირი და კითხვები დაუსვას ნებისმიერ პირს, ვისაც ინსპექტორი მიიჩნევს, რომ შეუძლია მის შეკითხვებზე პასუხების გაცემა;
- (d) ჩაატაროს ინსპექცია, ანუ შეამოწმოს, აიღოს სინჯები, დააკავოს ან ამოიღოს ნებისმიერი ნივთი, რომელსაც ინსპექტორი მიიჩნევს, რომ ამ [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით] რეგულირდება;
- (e) მოსთხოვოს ნებისმიერ ადამიანს რაიმე დოკუმენტი ან მისი ასლი შესამოწმებლად, რომელიც ინსპექტორის აზრით შეიცავს ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] შესაბამის ინფორმაციას;
- (f) გამოიყენოს ან გამოაყენებინოს ადგილობრივი მოწყობილობა ნებისმიერი მონაცემის ან ჩანაწერის, საანგარიშო წიგნის ან რაიმე სხვა დოკუმენტის ასლის გასაკეთებლად;
- (g) გამოიყენოს ან გამოაყენებინოს ადგილობრივი კომპიუტერი ან მონაცემთა დამუშავების სისტემა, რათა შეამოწმოს კომპიუტერში ან სისტემაში არსებული ნებისმიერი მონაცემი;
- (h) გადაამრავლოს ან გადაამრავლებინოს ნებისმიერი ჩანაწერი მონაცემებიდან ბეჭდური ან სხვა წაკითხვადი ფორმით და თან წაიღოს დაბეჭდილი ან სხვა ფორმის მასალა შემოწმების ან ასლის გაკეთების მიზნით;
- (i) ჩაართვევინოს ნებისმიერი მოწყობილობა, მათ შორის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ობიექტის ტერიტორიაზე მდებარეობს;

<sup>7</sup> ამ სექციის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისას ქვეყნებმა შეიძლება გაითვალისწინონ ინსპექციის გუნდში ლაბორატორიებსა და სხვა ობიექტებზე ბიოუსაფრთხოებისა და ბიოუშიშროების საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისა და ბიოუშიშროებასა და ბიოლოგიურ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებაში გაწვრთნილი სამართალდამცავი ოფიცრების დანიშვნის შესაძლებლობა.



- (j) თან ახლდეს შესაფერისი პროფესიონალი, რომელსაც ინსპექტორი აირჩევს და რომელსაც [პასუხისმგებელი ორგანო] დაამტკიცებს; და
- (k) მოსთხოვოს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც შენობას ხელმძღვანელობს, მიიღოს ნებისმიერი გონივრული ზომა, რომელსაც ინსპექტორი ჩათვლის შესაფერისად.

(5) ქვესექცია (4)-ში განხილული უფლებამოსილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შენობის ხელმძღვანელის საფუძვლიანად დარწმუნების შედეგად, რომ მის შენობაში ინსპექციის ჩატარებისას, შესაბამისი უსაფრთხოების პროცედურები იქნება დაცული.

#### *ინსპექციის ორდერები*

(6) ქვესექცია (3)-ის ძალით შენობის ხელმძღვანელის უარის შემთხვევაში ინსპექტორმა შეიძლება ორდერი მოითხოვოს.

(7) [მშვიდობის მოსამართლემ, მაგისტრატმა - (JUSTICE OF THE PEACE, MAGISTRATE)] შეიძლება გასცეს ორდერი, რომლის ძალითაც ორდერში დასახელებულ ინსპექტორს უფლება მიეცემა შევიდეს შენობაში ორდერში ჩამოთვლილი ყველა პირობის დაცვით, თუ მოსამართლე დაკმაყოფილდება საფუძვლიანი მიზეზის არსებობით, რომ -

- (a) ქვესექცია (1)-ის შესრულების მიზნით შენობაში შესვლა აუცილებელია; და
- (b) შენობაში შესვლა ვერ ხერხდება, უარი განაცხადეს ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ არ შეუშვებენ.

### **19. ინსპექტორის მოვალეობები**

#### *საიდენტიფიკაციო სერტიფიკატები*

(1) ინსპექტორს, ექსპერტს ან [პასუხისმგებელი ორგანოს] წარმომადგენელს გადაეცემა დანიშვნის შესახებ სერტიფიკატი.

(2) როცა ინსპექტორი, ექსპერტი ან [პასუხისმგებელი ორგანოს] წარმომადგენელი შევა შენობის ტერიტორიაზე ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით, მან შენობის ხელმძღვანელის მოთხოვნის საპასუხოდ უნდა წარმოადგინოს მისი დანიშვნის შესახებ სერტიფიკატი სწორად მიჩნეულ ნებისმიერ დროს.

#### *შესვლისა და კონფისკაციის შეტყობინება*

(3) თუ შენობაში შესვლისას ინსპექციის დასრულებამდე შენობის ხელმძღვანელი ადგილზე არაა, ყველა ინსპექტორმა, ინსპექციის დასრულების შემდეგ, როგორც კი პრაქტიკული იქნება, უნდა მიაწოდოს შენობის ხელმძღვანელს წერილობითი შეტყობინება, რომ მისი შენობის ტერიტორიაზე განხორციელდა შესვლა და ამ შეტყობინებაში ნათლად წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია -

- (a) შენობაში შესვლის თარიღი და დრო;
- (b) შენობაში შესვლის გარემოებები და მიზანი; და

(c) შენობაში შესული ყველა ადამიანის ვინაობა.

(4) ყველა ინსპექტორმა ქვესექცია (3)-ის ძალით ყველა დოკუმენტის ასლი უნდა მიაწოდოს [პასუხისმგებელ ორგანოს].

(5) ყველა ინსპექტორს, როცა შესაფერისია, თან უნდა ჰქონდეს ნებართვა და წარადგინოს მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო რაიმე ნივთის კონფისკაციისას, შენობის ხელმძღვანელს უნდა გადაეცეს ამოღებული საგნების სია.

*ინსპექტორის ანგარიში და გამოძიებისათვის მიმართვა*

(6) ყველა ინსპექტორმა ინსპექციის ანგარიში [პასუხისმგებელ ორგანოს] უნდა გაუგზავნოს, სადაც აღწერილი უნდა იყოს [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ან მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების შესრულებაში საეჭვო დარღვევები. [პასუხისმგებელმა ორგანომ] 22-ე სექციის ძალით მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევები შეიძლება გაუგზავნოს [შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს] გამოძიებისათვის.

## **20. ინსპექტირებული შენობების ხელმძღვანელების მოვალეობები და მათთან დაკავშირებული დანაშაულები**

*ინსპექტორებისათვის დახმარების გაწევა*

(1) ხელმძღვანელმა, რომლის შენობაშიც მე-18 სექციის ძალით ხდება ინსპექცია და ასევე იქ არსებულმა ყველა პირმა, ყველანაირი გონივრულად საჭირო და მისაღები დახმარება უნდა გაუწიოს ინსპექტორს და მის თანმხლებ ნებისმიერ ექსპერტს, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და ინსპექტორის საფუძვლიანი მოთხოვნის საფუძველზე, მას მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] შესრულების შემოწმებას ეხება.

*წერილობითი მითითებები*

(2) [პასუხისმგებელმა ორგანომ], მე-18 სექციის ძალით, შეიძლება წერილობითი შეტყობინების სახით მისცეს მითითებები რომელიმე პირს, ინსპექტორისათვის დახმარების გასაწევად.

*დანაშაულებრივი ქმედებები*

(3) დანაშაულს სჩადის ყველა ის ადამიანი, რომელიც არ იცავს ქვესექცია (2)-ის საფუძველზე [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ გაცემულ საფუძვლიან მითითებებს.

(4) დანაშაულს სჩადის ყველა ის პირი, რომელიც დაბრკოლებას უქმნის, ხელს უშლის, წინააღმდეგობას უწევს, ატყუებს ან ცრუ ან შეცდომაში შემყვან განაცხადს აძლევს ინსპექტორს ან მის თანმხლებ რომელიმე ექსპერტს, რომელიც ადასრულებს მე-18 სექციის ძალით მინიჭებულ უფლებებსა და ფუნქციებს.

(5) დანაშაულს სჩადის ყველა ის პირი, რომელიც მე-18 სექციის ძალით ამოღებულ საგანს გადაადგილებს, შეცვლის ან რამენაირად ხელისშემშლელად იმოქმედებს აღნიშნული საგნის მიმართ, გარდა ინსპექტორის ნებართვის მიიღების დროს.

## 21. მითითებები, რომლებიც მოითხოვენ უშიშროების ზომებს და მასთან დაკავშირებული დანაშაულები.

(1) [პასუხისმგებელმა ორგანომ] შეიძლება წერილობითი მითითებები მისცეს რომელიმე პიროვნებას, ან ობიექტის შემთხვევაში კონტროლის ოფიცერს და მოსთხოვოს მას -

- (a) მიიღოს ზომები კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ან კონტროლირებადი მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის უსაფრთხოების მიზნით;
- (b) გადახედოს და განაახლოს ნებისმიერი უშიშროების გეგმა; და
- (c) მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა, რომელსაც [პასუხისმგებელი ორგანო] საფუძვლიანად მოსთხოვს.

(2) ისეთ შემთხვევებში, როცა [პასუხისმგებელი ორგანო] საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების ან კონტროლირებადი მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის უშიშროების ზომები არაადეკვატურია ან სავარაუდოდ არ მოხდება ადეკვატური უშიშროების ზომების მიღება, მან შეიძლება ინდივიდს, ან ობიექტის შემთხვევაში კონტროლის ოფიცერს, წერილობითი მითითებები გაუზღავნოს და მოსთხოვოს ამ საგნებისაგან შენობის გათავისუფლება. მითითებებში კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული, როგორ და რა ვადებში უნდა განადგურდეს ან გადაიყაროს ეს საგნები.

### *დანაშაული*

(3) დანაშაულს სჩადის ყველა ის, რომელიც არ იცავს ქვესექცია (1)-ისა და (2)-ის საფუძველზე [პასუხისმგებელი ორგანოს] მიერ გაცემულ მითითებებს.

## 22. გამოძიებები

### *მიზანი*

(1) ამ სექციის მიზანია [შესაფერისი სამართალდამცავი ორგანოს] და [პასუხისმგებელ ორგანოსა] და BERISS-ს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საეჭვო დარღვევების გამოძიების დროს.

### *გამოძიებები*

(2) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საეჭვო დარღვევების შემთხვევებში, [შესაფერისი სამართალდამცავ ორგანოს] უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, სათავეში ჩაუდგეს საეჭვო დანაშაულის გამოძიებას [პასუხისმგებელ ორგანოსა] და BERISS-ს შორის კოორდინირებით.

(3) ყველა სახის ჩანაწერები, რომელიც შესრულდა [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მოთხოვნების საფუძველზე [პასუხისმგებელი ორგანოს], BERISS-ის, ინდივიდის, უწყების ან გადამზიდველის მიერ, უნდა მიეწოდოს სამართალდამცავ ოფიცერებს [შესაფერისი სამართალდამცავ ორგანოში],

რომლებიც იძიებენ ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საეჭვო დარღვევას.

(4) უნდა შესრულდეს ამ ინსპექციების ან გამოძიების დროს შეგროვებული ყველა სინჯის ანალიზი ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ან ნებისმიერი სხვა [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] საფუძველზე მიღებული მარეგულირებელი აქტების თანახმად, ხოლო ანალიზის შედეგები შეიძლება მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული სასამართლოზე.

### *წვრთნა*

(5) ამ სექციის მიხედვით, გამოძიებებისათვის მოსამზადებლად, BERISS [სამართალდამცავი ორგანოების] თანამშრომლებს ჩაუტარებს წვრთნას ბიოლოგიურ საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირებაში, მათ შორის იქნება -

- (a) ზოგადი ინფორმაცია ბიოტერორიზმის შესახებ;
- (b) ნაციონალური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, ბიოლოგიური საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირებისათვის; ასევე ბიოლოგიური და ტოქსინური იარაღის კონვენციისა და ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების გამოყენებასთან დაკავშირებული აკრძალულ საქმიანობებში გათვინციობიერება.
- (c) ინდივიდუალური დაცვის მოწყობილობის სწორი გამოყენება;
- (d) სხვა შესაფერისი უსაფრთხოების პროცედურები;
- (e) სპეციალიზებული საგამოძიებო ტექნიკა, როგორცაა ერთობლივი გასაუბრება და დოკუმენტაციის წარმოება ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად.
- (f) ლოკალიზაცია;
- (g) ბიოლოგიური საშიშროების შეფასება;
- (h) მტკიცებულების შეგროვება და ამოღება, როგორცაა სინჯების აღება; და
- (i) მტკიცებულებასთან დაკავშირებული პროცედურები, როგორცაა სინჯების დაკავების (და შენახვის) სრული ქრონოლოგიური დოკუმენტირება (chain of custody).

### **23. კონფისკაცია, ჩამორთმევა და განადგურება**

(1) [პასუხისმგებელმა ორგანომ ან შესაბამისმა სამართალდამცავმა ორგანომ] შეიძლება მოითხოვოს ორდერი, რომელიც შემდეგ უფლებებს იძლევა -

- (a) ყველა სახის ბიოლოგიური აგენტისა თუ ტოქსინის ან მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის კონფისკაცია, რომელიც აკრძალულია ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით; ან
- (b) ნებისმიერი თანხების გაყინვა ან კონფისკაცია, რომელიც დაკავშირებულია ამ [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით] აკრძალულ მოქმედებებთან.

(2) დაძაბული მდგომარეობის დროს [პასუხისმგებელმა ორგანომ] შეიძლება ორდერის გარეშე გასცეს, უფლება რაიმე ბიოლოგიური აგენტისა თუ ტოქსინის ან მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის კონფისკაციისათვის, რომელიც აკრძალულია ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით.

(3) ქონება, რომლის კონფისკაციაც მოხდება ქვესექცია (1)-ისა და (2)-ის ძალით, გადაეცემა მთავრობას პოტენციური მომჭივნებისათვის შეტყობინების გაგზავნისა და მათთვის სასამართლო მოსმენის შესაძლებლობის მიცემის შემდეგ. [ასეთი მოსმენის დროს მთავრობამ უნდა იტვირთოს მტკიცებულების ტვირთი და დაამტკიცოს, რომ ამოღებული ქონება კავშირშია [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით] აკრძალულ ქმედებასთან.

(4) [პასუხისმგებელმა ორგანომ] ამ სექციის ძალით შეიძლება განახორციელოს ნებისმიერი ამოღებული და ჩამორთმეული ბიოლოგიური აგენტისა თუ ტოქსინის ან მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიის განადგურება ან სხვა მხრივ განთავსება.

#### **24. სასამართლოს ბრძანება**

[პასუხისმგებელმა ორგანომ] შეიძლება მიიღოს შესაბამისი სასამართლოს ბრძანება ნაწილ B-ში აკრძალული მოქმედებების წინააღმდეგ.

#### **25. დანაშაულის გაგრძელება**

[თუ ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] დარღვევა მოხდა ერთხელ ან გრძელდება ერთ დღეზე მეტი ხნით, ადამიანს, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინა, შეიძლება ბრალდება წაეყენოს თითოეული იმ დღისათვის ცალ-ცალკე, როცა ამ დანაშაულის ჩადენა ხდებოდა ან გრძელდებოდა.]

#### **26. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასჯელები**

*ინდივიდებისა და უწყებების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა*

(1) გარდა ნებისმიერი სასჯელისა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას კანონის სხვა დებულების თანახმად, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის, ლიცენზირებისა და სატრანსფერო კონტროლის კანონები, ქვესექცია (3)-(8)-ში დასახელებული სასჯელები უნდა გამოყენებულ იქნას ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონისა] და მის საფუძველზე შედგენილი კანონქვემდებარე აქტების ნაწილი B, C-სა და D-ში განხილული ინდივიდებისა და უწყებების მიერ ჩადენილი დარღვევების დროს.

*უწყების დირექტორების, მენეჯერების, მდივნებისა და სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა*

(2) როცა ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით უწყება დანაშაულს ჩაიდენს და დამტკიცდება, რომ ეს დანაშაული უწყების რომელიმე დირექტორის, მენეჯერის, მდივნის, სხვა თანამდებობის პირის ან ამგვარი როლის შემსრულებელი ადამიანის ხელშეწყობით ან დაუდევრობის გამო მოხდა, ეს ადამიანი

ან უწყება დამნაშავედ მიიჩნევა, რომლის წინააღმდეგაც უნდა აღიძრას საქმე და დაისაჯოს ამ სექციის თანახმად.

*ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების არასწორად გამოყენება*

(3) ყველა ადამიანი, რომელიც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-5 სექციის ძალით აღიარებულ დანაშაულს ჩაიდენს, დამნაშავეა და განაჩენით ექვემდებარება -

- (a) ინდივიდის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს [პერიოდი] წლისა ან ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა] ან ორივე; ან
- (b) ინდივიდის შემთხვევაში, როცა დანაშაულს ადამიანის სიკვდილი მოჰყვება, [სამუდამო პატიმრობა]; ან
- (c) უწყების შემთხვევაში, ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა].

(4) ყველა ადამიანს, რომელიც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-6 სექციის ძალით აღიარებულ დანაშაულს ჩაიდენს, დამნაშავეა და განაჩენით ექვემდებარება -

- (a) ინდივიდის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს [პერიოდი] წლისა ან ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა] ან ორივე; ან
- (b) ინდივიდის შემთხვევაში, როცა დანაშაულს ადამიანის სიკვდილი მოჰყვება, [სამუდამო პატიმრობა]; ან
- (c) უწყების შემთხვევაში, ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა].

(5) თუ სისხლის სამართლებრივი დევნა ქვესექცია (3)-ისა და (4)-ის ძალით ხორციელდება, უნდა არსებობდეს *თვითკმარი* მტკიცებულება, რომ ინდივიდს ან უწყებას, რომელსაც აქვს მე-11 და მე-13 სექციის ძალით გაცემული ლიცენზია ან ნებართვა, აქვს ლიცენზიაში დასახელებული კონტროლირებადი აგენტებისა თუ ტოქსინების შექმნის, შექმნის წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემის ან გამოყენების კანონიერი მიზანი.

*საქმის წარმოება და მოხსენებების მომზადება*

(6) ყველა ადამიანი, რომელიც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-17 სექციის ძალით აღიარებულ დანაშაულს ჩაიდენს, დამნაშავეა და განაჩენით ექვემდებარება -

- (a) ინდივიდის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს [პერიოდი] წლისა ან ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა] ან ორივე; ან
- (b) უწყების შემთხვევაში, ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა].

*იმ პირთა ვალდებულებები, რომლებიც ხელმძღვანელობენ შემოწმებულ ობიექტებს*

(7) ყველა ადამიანი, რომელიც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მე-20 სექციის ძალით აღიარებულ დანაშაულს ჩაიდენს, დამნაშავეა და განაჩენით ექვემდებარება -

- (a) ინდივიდის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს [პერიოდი] წლისა ან ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა] ან ორივე; ან
- (b) უწყების შემთხვევაში, ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა].

*დირექტორები, რომლებსაც უშიშროების ზომების მიღება მოეთხოვებათ*

(8) ყველა ადამიანი, რომელიც ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] 21-ე სექციის ძალით დანაშაულს ჩაიდენს, აღიარებულ დანაშაულს ჩაიდენს, დამნაშავეა და განაჩენით ექვემდებარება -

- (a) ინდივიდის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს [პერიოდი] წლისა ან ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა] ან ორივე; ან
- (b) უწყების შემთხვევაში, ჯარიმა არაუმეტეს [თანხის რაოდენობა].

## **27. კანონის მოქმედება**

(1) ეს [საკანონმდებლო აქტი, სტატუტი, დეკრეტი, კანონი] ვრცელდება -

- (a) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით აკრძალულ მოქმედებებზე ან ინფორმაციის დამალვაზე, რომელიც ჩაიდინა ნებისმიერმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა საქართველოს ტერიტორიაზე;
- (b) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] დარღვევით ინფორმაციის დამალვაზე, რომელიც ჩაიდინა საქართველოს მოქალაქემ საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს გარეთ;
- (c) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით აკრძალულ მოქმედებებზე ან ინფორმაციის დამალვაზე, რომელიც ჩაიდინეს საქართველოს კუთვნილ საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე;
- (d) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით აკრძალულ მოქმედებებზე ან ინფორმაციის დამალვაზე, რომელიც ჩაიდინა მოქალაქეობის არმქონე ადამიანმა ან რეზიდენტმა, რომლის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა;
- (e) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით აკრძალულ მოქმედებებზე ან ინფორმაციის დამალვაზე, რომელიც ჩაიდინეს ან რომლის ჩადენაც არის განზრახული საქართველოსა და მისი მოსახლეობისათვის ზიანის მისაყენებლად ან საქართველოს იძულებისათვის, განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან; ან
- (f) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ძალით აკრძალულ მოქმედებებზე ან ინფორმაციის დამალვაზე, რის შედეგადაც დაზარალდა საქართველოს მოქალაქე.

(2) ქვესექცია (1)(c)-ში „საქართველოს საზღვაო და საჰაერო ხომალდი“ ნიშნავს საქართველოში რეგისტრირებულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდს, რომელიც ეკუთვნის ან რომელსაც ფლობს საქართველო.

## **28. თანამშრომლობა და დახმარება სამართლებრივ საკითხებში**

(1) ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ნაწილ B-ში ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებები უნდა განიხილოს როგორც საექსტრადიციო დანაშაულები, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის დადებული ექსტრადიციის ნებისმიერი ხელშეკრულების თანახმად.

(2) ქვესექცია (1)-ის მიუხედავად, დანაშაულის პრევენციის კომპეტენტური ორგანოები, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესები და ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] დანერგვის ძალისხმევები უნდა გაერთიანდეს ქვეყნის სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მოხდეს მოქმედებების კოორდინირება ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ან უცხო ქვეყნის ეკვივალენტური კანონმდებლობების გატარებისათვის. ამასთან, სხვა ქვეყნის ორგანოები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ოფიციალურად ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება.

(3) საქართველოს კომპეტენტურმა ორგანოებმა ქვესექცია (2)-ის ძალით შეიძლება სხვა ქვეყნის ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მოითხოვონ შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია. საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს უფლება აქვთ *სხვასთან ერთად* შემდეგი ინფორმაცია მიიღონ -

- (a) კონტროლირებადი თუ არაკონტროლირებადი ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების შექმნის, შექმნის, წარმოების, ფლობის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადაცემის ან მოხმარების შესახებ;
- (b) კონტროლირებადი თუ არაკონტროლირებადი ორნაირი გამოყენების ბიოლოგიური მოწყობილობასა და ტექნოლოგიაზე;
- (c) პირების შესახებ, რომლებიც განხილულია ქვესექცია (a)-სა და (b)-ში.

(4) თუ რომელიმე ქვეყანამ საქართველოსთან ორმხრივი ხელშეკრულება გააფორმა, საქართველოს კომპეტენტურმა ორგანოებმა შეიძლება, საკუთარი ინიციატივით ან ხელშეკრულების მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდონ ქვესექცია (3)-ში აღწერილი მონაცემები და ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები აღნიშნულ მონაცემებთან და ინფორმაციასთან დაკავშირებით გარანტიას იძლევიან რომ -

- (a) გამოიყენებენ მხოლოდ ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მიზნებისათვის და
- (b) გამოიყენებენ მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში იმ პირობით, თუ ისინი მოპოვებულია საერთაშორისო სასამართლო სისტემის თანამშრომლობის პრინციპებით შემუშავებული პროცედურების დაცვით.

(5) საქართველოს კომპეტენტურმა ორგანოებმა ქვესექცია (3)-ში აღწერილი მონაცემები ან ინფორმაცია შეიძლება მიაწოდოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუ ქვესექცია (4)-ში დასახელებული პირობები შესრულებულია. ასეთ შემთხვევაში ორმხრივი ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების აცილება ხდება.



(6) ამ სექციის ძალით ექსტრადიციის ან სამართლებრივი თანამშრომლობისა და დახმარების მიზნების განხორციელების მიზნით ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] ნაწილი B-ს არც ერთი დანაშაული არ იქნება განხილული, როგორც პოლიტიკური დანაშაული, პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებული დანაშაული, ან პოლიტიკური მოტივებით ჩადენილი დანაშაული.

## ნაწილი E კანონქვემდებარე აქტები

### 29. კანონქვემდებარე აქტები

გარდა კანონქვემდებარე აქტებისა, რომლებიც საჭიროა ამ [საკანონმდებლო აქტში, სტატუტში, დეკრეტში, კანონში], [პასუხისმგებელმა ორგანომ] ან [საკანონმდებლო აქტით, სტატუტით, დეკრეტით, კანონით] მინიჭებული უფლებამოსილების მქონე მინისტრმა უნდა მიიღოს ნებისმიერი სხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც საჭიროა ამ [საკანონმდებლო აქტის, სტატუტის, დეკრეტის, კანონის] მიზნებისა და დებულებების განსახორციელებლად.

---